

ქეთევან ცინცაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ინოვაციური ტენდენციები ოცინანი წლების ბერძენი პოეტიკის შემოქმედებაში

*საკვანძო სიტყვები: ახალი ბერძნული პოეზია, ინოვაციები,
ნეორომანტიზმი, ნოსიმბოლიზმი.*

საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბერძნული სამყარო ოტომანთა ბატონობის წყალობით მოწყვეტილი იყო იმ უმთავრეს პროცესებს, რომლებიც ევროპის კულტურულ ცხოვრებას განსაზღვრავდნენ და ზოგიერთი მიმდინარეობა ისე დაიწყო და დასრულდა დანარჩენ ევროპაში, რომ საბერძნეთში მას არც კი შეუღწევია. ვითარება საგრძნობლად შეიცვალა XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში. ამ პერიოდში ბერძნულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში ნელ-ნელა მომწიფდა განმათავისუფლებელი მოძრაობა და თითქმის შეუქცევადი გახდა პროცესი ეროვნული თვითგამოღვიძებისა, ყოველივე ამას კი, ცხადია, ერის სულიერი გამოღვიძება და ევროპულ კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირება მოჰყვა. ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრე-

ლი პირობები რევოლუციის დაწყებისა და ახალი დამოუკიდებელი ბერძნული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ შეიქმნა.

როდესაც ახლად შექმნილ ბერძნულ სახელმწიფოში მიმდინარე კულტურულ პროცესებზე ვსაუბრობთ, ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ იმას, თუ რა ტიპის საზოგადოებასთან მიმართებაში განვიხილავთ ამ საკითხებს. “ეს იყო საზოგადოება, რომელმაც ოთხი საუკუნე თურქულ ბატონობაში გაატარა და მრავალი თვალსაზრისით, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებისათვის ვერ დაეღწია თავი. მას არ ჰქონდა შეხება აღორძინებასთან და არც მის მომდევნო განმანათლებლობასთან. არ არსებობდა ორგანიზებული, ერთიანი საგანმანათლებლო სისტემა. წერა-კითხვის უცოდინრობა თითქმის საყოველთაო მოვლენა იყო”¹. მოსახლეობის 90% ჩვეულებრივი მიწათმოქმედები და მეცხოველეები იყვნენ და შესაბამისად, მათი ენაც და ტრადიციებიც მთლიანად სოფლის ცხოვრებას იყო მორგებული, ხოლო, როდესაც ჩვენ დასავლეთ ევროპულ ცივილიზაციას ვახსენებთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საუბარია ევროპის კულტურულ ცენტრებზე და ამ ცენტრებში მიმდინარე პროცესებზე, ანუ დასავლეთ ევროპაზე არა როგორც ვრცელ გეოგრაფიულ ცნებაზე, არამედ მის დიდ ქალაქებზე, რადგანაც ბერძნებს სწორედ მათთან ჰქონდათ შეხება და მისაბამ ელემენტებსაც მათ წიაღში ეძებდნენ. ბერძნებს სურდათ ახალი ბერძნული სახელმწიფო და კულტურა დასავლეთ ევროპულ ყაიდაზე მოეწყოთ, ხოლო, რამდენადაც

¹ Αράγης 2006, 18.

დასავლეთ ევროპულ კულტურას ისინი ქალაქურ ცხოვრებასთან აიგივებდნენ, აუცილებელი ხდებოდა ბერძნულ სინამდვილეშიც აღმოცენებულიყო დასავლური ტიპის ქალაქები შესაბამისად მომზადებული მოსახლეობით, და ეს მაშინ, როდესაც საბერძნეთის დედაქალაქი ათენიც კი ერთი პატარა პროვინციული ქალაქი იყო და დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ორი ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი საბერძნეთის მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 8-10% წარმოადგენდა ქალაქის მკვიდრს.² ეს კიდევ ერთი საკმაოდ დიდი პრობლემა იყო პროგრესულად მოაზროვნე ბერძნებისათვის, რადგან თუკი სურდათ, საბერძნეთი დასავლურ სახელმწიფოდ ექციათ, ტიტანური შრომა უნდა გაეწიათ მოსახლეობის ტრანსფორმირებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნის დასაწყისში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჯერ რევოლუციაში გადაიზარდა, შემდეგ კი ახალი ბერძნული სახელმწიფოს შექმნით (1830წ.) დასრულდა. მრავალსაუკუნოვანი მონობის შემდეგ ბერძნებისათვის ამგვარი წარმატება ახალი ეპოქის დასაწყისად იქცა როგორც ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკურ, აგრეთვე კულტურულ ცხოვრებაშიც. მანამდე ევროპულ ცივილიზაციასთან კავშირს მოკლებულმა ბერძნებმა ფართოდ გაუღეს კარი დასავლურ მიმდინარეობებს და, რაღა თქმა უნდა, მათი მხედველობის არეალში რომანტიზმი მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ საუბარია ერთ მიმდინარეობაზე, რომანტიზმი ბერძნულ ლიტერატურაში ორი ერთმანეთისაგან განსხვავ-

² Σβάρνος 1976,102. Φιλίας 1977, 450.

ვებული სკოლის სახით ჩამოყალიბდა. ერთია ტრადიციული ათენური და მეორე – ჰეპტანისური. ამ ორ სკოლას ერთმანეთისაგან უპირველეს ყოვლისა განსხვავებული კულტურული და პოლიტიკური ორიენტაცია გამოარჩევდა. ჰეპტანისელებმა, რომელთა მშობლიური კუნძულებიც არასდროს დაუპყრიათ თურქებს, მოახერხეს შეენარჩუნებინათ დამოუკიდებელი აზრი და საკუთარი ხედვა და მათთვის კულტურულად ახლო იტალიური რომანტიზმის იდეები ბრმად კი არ გადმოუტანიათ თავიანთ შემოქმედებაში, არამედ მისგან ის ელემენტები ისესხეს, რომლებიც კარგად შეერწყმებოდა ბერძნულ ტრადიციებს. ათენელებისათვის კი საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ცოტა რთული აღმოჩნდა; დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საკუთარი პოლიტიკური უსუსურობისა და სახელმწიფო ინტერესების გამო ისინი სხვისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ, რაც თავისთავად აისახა კულტურულ ცხოვრებაზეც და ფრანგული რომანტიზმით აღფრთოვანებულებმა დაუფიქრებლად მოარგეს მისი იდეები ბერძნულ ლიტერატურას. ათენური სკოლის წარმომადგენლებმა ვერ გაითვალისწინეს ის მომენტი, რომ საბერძნეთში რეალური ვითარება მკვეთრად განსხვავდებოდა იმ პერიოდის ფრანგული რეალობისგან და ის, რაც შეიძლებოდა ორგანული ყოფილიყო საფრანგეთისათვის, არ გამოდგებოდა საბერძნეთისათვის. მართალია, ახლად შექმნილ ბერძნულ სახელმწიფოში ყოფა არც ისეთი სახარბიელო იყო, როგორსაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში მოელოდნენ ბერძნები, მაგრამ ახლად განთავისუფლებულ ერს მაინც არ უნდა ჰქონოდა

ისეთი მწვავე პესიმიზმისა და უიმედობის საბაზი, როგორსაც ფანარელ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ვხვდებით. მათ ვერც რომანტიზმის ერთ-ერთი მთავარი ხიბლი, ხალხური ენით წერის პრინციპი შეისიხლხორცეს და თავიანთი ისედაც მწვავე სარკაზმითა და ირონიით დამძიმებული ნაწარმოებები კიდევ უფრო გაუგებარი გახადეს მძიმე, ხელოვნური კათარეზუსას წყალობით.³

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საბერძნეთი შეძლებისდაგვარად კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთო საერთო ევროპულ პროცესებში და ლიტერატურულ ასპარეზზე ახალგაზრდა, კიდევ უფრო მეტად ევროპული ორიენტაციის მქონე შემოქმედთა ახალი თაობის გამოჩენის შემდეგ რომანტიზმი იძულებული გახდა პოზიციები დაეთმო.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რომანტიზმს მაინც მოუხდა პოზიციების დათმობა ახალი მიმდინარეობებისათვის. ამჯერად ბერძენ ლიტერატორთა ყურადღება ფრანგ პარნასისტთა შემოქმედებამ მიიპყრო, ბერძნებმა იგი გარკვეული სახეცვლილებით მიიღეს და ამგვარად დაუპირისპირეს რომანტიზმის ბერძნულ, არცთუ წარმატებულ ვარიანტს. პარნასისტთა მოღვაწეობიდან ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბერძნებმა ბრმად კი აღარ მიიღეს უცხო იდეები, არამედ ისინი ეროვნულ ინტერესებს შეუხამეს და ბერძნული სინამდვილისათვის ორგანულად აქციეს, თუმცა მათი შემოქმედება შინაარსობრივად კონფლიქტში მოდიოდა არსებულ რეალობასთან, რადგან პარნასისტებმა უარი თქვეს რეალობასთან შეგუებაზე და ლიტერა-

³ Καπαντώνης 1990, 119.

ტურას სხვა მიზნები დაუსახეს. ბერძენი პარნასისტების მთავარ საზრუნავად იქცა ის, რაც წესით თავის დროზე რომანტიკოსებს უნდა ეტვირთათ საკუთარ თავზე; პალამას, ბერძნული პარნასიზმის ფუძემდებელს, სჯეროდა, რომ ქვეყანას, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მოიპოვა დამოუკიდებლობა და რომელიც ვალდებული იყო, ეფიქრა მომავალზე, სჭირდებოდა ისეთი მწერლობა, რომელიც ოპტიმისტურად განაწყობდა საზოგადოებას და გმირის იდეალს დაუხატავდა მას⁴. პალამასის ეს მოწოდება მისმა თანამედროვეებმაც აიტაცეს და ლიტერატურა იდეალების შექმნის სამსახურში ჩააყენეს. ამგვარად, ეს ახალგაზრდა შემოქმედები აქტიურად გამოეხმაურნენ იმ “დიდ იდეას”, რომელიც მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში განსაზღვრავდა საბერძნეთის პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებას.

განსხვავებით განმანათლებლებისა და რომანტიკოსებისაგან, რომლებმაც ვერ შეძლეს თავი დაეღწიათ წარსულის აბსოლუტური გაიდეალებისათვის, რის გამოც მუდმივად მის ჩრდილში ექცეოდნენ და ამის გამო უფრთხოდნენ ინოვაციებს, პარნასისტებმა სრულიად ახლებური კონცეფცია შეიმუშავეს ამ საკითხთან დაკავშირებით: “მათთვის მიუღებელი იყო ანტიკურობის აღიარება საკუთარი აწმყოს უარყოფის საფუძველზე. ამიტომ ისინი აყენებდნენ თვალსაზრისს, რომელშიც დიდებული წარსული შერწყმული იყო არანაკლებ სასიქადულო აწმყოსთან. რაც მთავარია, უმნიშ-

⁴ Vitti 1994, 311.

ენელოვანესი მომენტი ამ იდეისა იყო მომავალზე ფიქრი”.⁵ ბერძნული ლიტერატურა იქცა თანამედროვეობის აპოლოგეტად, როგორც ამას პალამასისეული თეორია ქადაგებდა. ამგვარმა მიდგომამ ლიტერატურა საკმაოდ დააშორა რეალობას და კვლავ გაჩნდა საფრთხე იმისა, რომ შთაგონების ცოცხალ წყაროს მოკლებული ბერძნული პოეზია კვლავ განვითარების ერთ წერტილში გაყინულიყო.

ამასობაში საბერძნეთში 1897 წლის მარცხის შემდეგ პოეტთა ერთ ჯგუფს ამბოხის გრძნობა გაუჩნდა, მათ აღარ სურდათ რეალობასთან შეგუება და თავი სიმბოლიზმის სამყაროს შეაფარეს. ამგვარად მოხდა ბერძნულ ლიტერატურაში სიმბოლისტური იდეების გავრცელება, თუმცა ბერძენმა სიმბოლისტებმა ვერ მოახერხეს საბოლოოდ დაეღწიათ თავი პალამასისეული პარნასისტული იდეებისთვის და ამდენად მათი შემოქმედება ვერ იქცა რეაქციად პარნასიზმზე, როგორც ეს მოხდა დანარჩენ ევროპაში.

პალამასის მოწოდება ლიტერატურის პრიმერულობის შესახებ ისევ ძალაში რჩებოდა და სწორედ მაშინ, როცა ამ პროცესმა ზენიტს მიაღწია, XX საუკუნის ოციან წლებში გამოჩნდა ახალგაზრდა პოეტთა ერთი ჯგუფი, რომელიც არსებული ისტორიული რეალობის გათვალისწინებით მკვეთრად დაუპირისპირდა უფროსი თაობის ამგვარ პათოსს და სიმბოლისტებისაგან განსხვავებით შემოქმედებითად სათანადო წინააღმდეგობის გაწევაც შეძლო. მათ სრულიად საპირისპირო განწყობა შეიტანეს პოეზიაში. საუბარია ოციანი წლების პოეტებზე. ეს იყო თაობა, რომელმაც

⁵ ქამუშაძე 1998, 51.

უამრავი მარცხი იწვნია საკუთარ თავზე. ამ პოეტების შემოქმედებით ასპარეზზე გამოჩენა ემთხვევა პერიოდს, როდესაც საბერძნეთი ჯერ ბალკანური ომების შემდეგ არ იყო გამორკვეული, რომ თავს პირველი მსოფლიო ომი დაატყდა და სულ მალე ზოგიერთი გენერლის ავანტიურისტული წამოწყების თუ ფსევდონაციონალური ღირსების აღდგენისათვის გამართული კამპანიის წყალობით მიღებულ მცირე აზიის კატასტროფის შედეგებს იმკიდა. როდესაც ოციანი წლების პოეტებზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ნეორომანტიკოს-ნეოსიმბოლისტი პოეტების სახელით ცნობილ პოეტთა ჯგუფს, რომლის უმთავრეს წარმომადგენლად კოსტას კარიოტაკისი ითვლება. ეს პოეტები არიან: რომოს ფილირასი (1888-1942 წწ.), ნაპოლეონ ლაპათიოტისი (1893-1944 წწ.), ფოტის ღიოფილისი (1887-1981 წწ.), კოსტას ურანისი (1890-1953 წწ.), ლევტერის ალექსიუ (1890-1964 წწ.), კლეონ ვ. პარასხოსი (1894-1964 წწ.), იოსებ რაფტოპულოსი (1893-1923 წწ.), კოსტას კარიოტაკისი (1896-1928 წწ.), კოსტის ველმირასი (1898-1960 წწ.), გიორგოს სტავროპულოსი (1898-1969 წწ.), ნ. ხალერ-ბუფიდისი (1899-1950 წწ.), ტელოს აღრასი (1899-1944 წწ.), მიცოს პაპანიკოლაუ (1900-1943 წწ.), კესარ ემანუელი (1902-1970 წწ.), მარია პოლიდური (1902-1930 წწ.), ტევკროს ანთიასი (1903-1968 წწ.), ნიკოს კავადიასი (1910-1975 წწ.)

ოციანი წლების პოეტები წინა თაობის პოეტებისაგან განსხვავებით აღარ აპირებდნენ თავი მოეტყუებინათ თითქოს ყველაფერი კარგად იყო და თითქოს პოეზიას კიდევ შესწევდა უნარი რაიმეს შეცვლისა. გარდა იმისა, რომ ამ-

გვარი თვითმყოფადობით ერთგვარად წერტილი დაუსვეს ბერძნული პოეზიის ევროპულ ტენდენციებში სრულფასოვანი ჩართვის ხანგრძლივ პროცესს და ბერძნული პოეზია გაათავისუფლეს სხვადასხვა გავლენის კოპირების არტახებისგან, მას სასიცოცხლოდ და შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი ახალი სულიც შთაბერეს. მათი მხრიდან ნოვატორობა რამდენიმე მიმართულებით გამოვლინდა; ოციანი წლების ბერძენ პოეტთა შემოქმედებაში ცვლილებები განიცადა ლექსის ფონეტიკამ, სტილისტიკამ, კომპოზიციამ და იდეოლოგიამ, რაც, ამავე პერიოდის რუს პოეტს ნიკოლაი გუმბილიოვს თუ დავესესხებით, მნიშვნელოვან პოეტებსა და მიმდინარეობებს ახასიათებთ.⁶ სათითაოდ ვნახოთ ყოველი ელემენტი და მასთან დაკავშირებული სიახლეები, რომლებიც ოციანი წლების პოეტებმა შესთავაზეს ბერძნულ პოეზიას. პირველ ყოვლისა იმ ორ ელემენტს გადავხედოთ, რომლებსაც შედარებით ნაკლებად შეეხო პოეტური რეფორმა. ესენია ფონეტიკა და კომპოზიცია. ფონეტიკური თვალსაზრისით იმის თქმა შეგვიძლია, რომ პესიმისტი პოეტები მართალია დიდად არ მოსწყვეტიან ბერძნული რითმის ტრადიციებს და ამ მხრივ განსაკუთრებული ორიგინალობით არ გამოირჩევიან, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ზოგ შემთხვევაში ფრანგი სიმბოლისტების გავლენით უბრალოდ საერთოდ უგულებელყოფდნენ რითმის აუცილებლობას, თუმცა გარკვეული სიახლეები დაამკვიდრეს რიტმთან დაკავშირებით, კერძოდ, აგრეთვე ფრანგი

⁶ გუმბილიოვი 1921.

სიმბოლისტების გავლენით პოეზიის მუსიკალობა აღიარეს და დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ სტრიქონების მელოდიურ ჟღერადობას.

რაც შეეხება კომპოზიციას, ამ მიმართულებით სიახლედ მიგვაჩნია ლირიკული ლექსის შემოტანა. ნეორომანტიკოსმა-ნეოსიმბოლისტმა პოეტებმა უარყვეს სიუჟეტურად თანმიმდევრული თხრობითი ელემენტები, ვრცელი ლექსი და დაიწყეს მოკლე, ემოციურად შთაგონებული ლექსის წერა, რომელშიც აღარ იყო აუცილებელი სტროფებს შორის შინაარსობრივად უწყვეტი კავშირის შენარჩუნება. ამასთანავე დაარღვიეს სტროფის ტრადიციული გაგება და ამ თვალსაზრისით დიდი გასაქანი მისცეს ფანტაზიას.

ოციან წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ბერძნული ლექსის იდეოლოგიამ და სტილისტიკამ, ეს ორი კი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას ნეორომანტიკოს – ნეოსიმბოლისტ პოეტთა მიერ ბერძნული პოეზიის იდეოლოგიის ძირეულ ცვლილებას. როგორც უკვე ვისაუბრეთ XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის დასაწყისში ლიტერატურას მხოლოდ ეროვნული ინტერესების წარმოჩენა კი არ ეკისრებოდა მისიად, არამედ გაცილებით მეტი, იგი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი საყრდენიც უნდა გამხდარიყო. მთელი თურქული ბატონობის განმავლობაში და განსაკუთრებით კი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, ბერძნული პოეზია იდეოლოგიურ დონეზე ეროვნული ინტერესების სამსახურში იდგა, XIX საუკუნის შუაწლებიდან, მას შემდეგ

რაც ახლად შექმნილმა ბერძნულმა სახელმწიფომ გარკვეულწილად პოლიტიკური პოზიციები გაიმყარა ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახში, მის უმთავრეს ეროვნულ მიზნად ეგრეთ წოდებული „დიდი იდეა“ იქცა, რომელიც ბერძნული სახელმწიფოს შემადგენლობაში ყველა დაკარგული ტერიტორიის და მოსახლეობის დაბრუნებას ითვალისწინებდა და საბოლოოდ კონსტანტინოპოლშიც კვლავ ბერძნული მმართველობის აღდგენას გულისხმობდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ოცნების უკიდურეს აპოლოგეტად აქცია ლიტერატურა კოსტის პალამასმა და მისმა წრემ და ამგვარმა ვითარებამ XX საუკუნის ოციან წლებამდე გასტანა, პერიოდამდე, როდესაც „დიდი იდეა“ საბოლოოდ დაასამარა 1922 წლის მცირე აზიის კატასტროფამ. გეორგიოს თეოტოკასი აღნიშნავდა, რომ „საბერძნეთისათვის XIX საუკუნე 1922 წელს დასრულდა“.⁷ ეს მართლაც ასეა ბერძენთა მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის თვალსაზრისით. ოციანი წლების ახალგაზრდა პოეტებმა ბერძნული პოეზია საბოლოოდ გაათავისუფლეს განუხორცილებელი საუკუნოვანი ოცნების, „დიდი იდეის“ ტყვეობიდან და მას ახალი მსოფლმხედველობრივი დატვირთვა შესძინეს. ნეორომანტიკოს-ნეოსიმბოლისტ პოეტთა ზოგიერთი წარმომადგენელი ჯერ კიდევ 1922 წლამდე იჩენდა სრულ გულგრილობას პალამასის მოწოდების მიმართ და პოეზიის ეროვნულ-იდეოლოგიურ მნიშვნელობას არ აღიარებდა, მცირე აზიის კატასტროფის შემდეგ კი მათ სრულეებით უგულვებელყვეს „დიდი იდეა“ და მისი არსებობაც კი დაივიწყეს, გადაწყვი-

⁷ Vitti 1989, 19.

ტეს, წერტილი დაესვათ ილუზიებისათვის და ყურადღება რეალობისაკენ მიემართათ. ამგვარად, ბერძნული პოეზია გამოვიდა „დიდი იდეის“ გავლენიდან და სამყაროს აბსოლუტურად განსხვავებული თვალით შეხედა, ლიტერატურის და პოეზიის ინტერესების სფეროში იმ პერიოდის სოციალური ვითარება მოექცა. ნეორომანტიკოსმა-ნეოსიმბოლისტმა პოეტებმა პოეზია მიწაზე დააბრუნეს და განყენებული თემების ნაცვლად, ერთი შეხედვით პოეზიისათვის ისეთ შეუფერებელ ტრივიალურ საკითხებზე დაიწყეს ხმა-მალლა საუბარი, როგორც ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების პირად პრობლემებთან დაკავშირებული განცდებია.

როდესაც ოციანი წლებში ბერძნული პოეზიის იდეოლოგიის ცვლილებაზე ვსაუბრობთ, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ, ამ პერიოდში იდეოლოგია უბრალოდ კი არ შეიცვალა, ანუ მისი ერთი მიზანი რომელიმე მეორემ კი არ ჩაანაცვლა, არამედ სხვადასხვა პოეტისათვის სრულებით განსხვავებული დატვირთვა შეიძინა. ოციანი წლების პოეტების დამსახურებით ბერძნულ პოეზიას განვითარების შემდეგ ეტაპებზე აღარ სჭირდებოდა იდეოლოგიურ დოგმებთან ჭიდილი, იგი თავისუფალი გახდა არჩევანში და შეუზღუდავი თემებში. ამას შეგვიძლია მსოფლმხედველობრივი რეფორმა ვუწოდოთ, რომელმაც თავის მხრივ ცვლილებები შეიტანა ზოგადად ბერძნული ლექსის განვითარებაში.

ზაზა შათირიშვილს თუ დავესესხებით XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ ნახევარში პოეზიამ „ეგზისტენციალური მეგზურის კომპენსატორული“ როლი იტვირთა და

ამას ქრისტიანული ცივილიზაციის დასასრულით ხსნიან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მათი აზრით ქრისტიანული ცივილიზაციის დასასრული სოციალურ ცხოვრებაზე ქრისტიანობის გავლენის შესუსტებას ნიშნავს მხოლოდ და სხვას არაფერს.⁸ ეგზისტენციალური მეგზურის კომპენსატორული როლი გულისხმობს იმას, რომ პოეზია იქცა ადამიანთათვის ცხოვრების საზრისის მიმთითებლად და მეტაფიზიკურ გზამკვლევად, ამ მხრივ გარკვეულწილად რელიგიაც კი ჩაანაცვლა და დიდაქტიკური ფუნქცია შეიძინა (სწორედ ამგვარად წარმოედგინა პოეტისა და პოეზიის დანიშნულება საბერძნეთში პალამასსა და მის წრეს), თუმცა დროთა განმავლობაში მან ეს ფუნქცია კვლავ დაკარგა და ძირითადად უადრესატოდ ან პოეტის სუბიექტური განცდების პრიზმაში აღქმული რეალობის ამსახველად იქცა. საბერძნეთში ამგვარ ცვლილებას სწორედ XX საუკუნის ოციან წლებში ვხედავთ და მის ძირითად გამტარებლად ნეორომანტიკოსი-ნეოსიმბოლისტი პოეტები მიგვაჩნია. ამ პოეტებისათვის სულერთი გახდა, ისინი მათი მკითხველისათვის შეასრულებდნენ მოძღვრის როლს თუ არა, მათ მხოლოდ ის სურდათ, რომ მკითხველისათვის საკუთარი განცდები გაეზიარებინათ და ზოგ შემთხვევაში მათი თანაგრძნობაც კი მოეპოვებინათ, მათ უარი თქვეს პოეზიის დიდაქტიკურობაზე, დამმოდღვრელ ტონზე და ამდენად უფრო უშუალო კავშირის დამყარება მოახერხეს მკითხველთან ვიდრე ეს წინამორბედ პოეტებს გამოსდიოდათ. ამ უშუალობის განმტკიცებას ნეორომანტიკოს-ნე-

⁸ შათირიშვილი 2007.

ოსიმბოლისტ პოეტთა მხრიდან გატარებულმა სტილისტიკურმა ცვლილებებმაც შეუწყო ხელი. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოეზიის ენობრივ-გრამატიკული ორიენტაციის სხვა მიმართულებით წარმართვა.

მეოცე საუკუნე ზოგადად მთელი მსოფლიოსათვის გლობალიზაციის გააქტიურებული ტენდენციებით გამოირჩა და იმისათვის, რომ ბერძნული კულტურაც აქტიური წევრი გამხდარიყო ამ გლობალური ერთიანობისა, საჭირო იყო ისეთი თემატიკის წინ წამოწევა, რაც არა მარტო ვიწრო ეროვნულ ინტერესებს წარმოაჩენდა, არამედ მისაღები და აღსაქმელად ადვილი იქნებოდა სხვა ეროვნული წრეებისათვისაც. შესაბამისად პოეზიის ინტერესების ცენტრში მოექცა ის სეგმენტი, რომელიც დაახლოებით ერთგვარი იყო სხვადასხვა ქვეყანაში, ეს იყო დიდი ქალაქების ცხოვრება, მასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებით. ამ პერიოდის საბერძნეთის ყოველდღიურ მეტყველებაში უცხო სიტყვების მოზღვავენამ და ქალაქური ცხოვრების განვითარებამ ახალი ქალაქური მეტყველების ტიპის დამკვიდრება გამოიწვია, რომელიც უშუალოდ ეხმიანებოდა ნეორომანტიკოს-ნეოსიმბოლისტ პოეტთა თემატიკას, ოციანი წლების პოეტების ლექსიკა ქალაქური ცხოვრების ამსახველი სიტყვებით შეივსო.

ოციან წლებში პოეზიის ენობრივი მიმართება შეიცვალა დროსთან და სივრცესთან დამოკიდებულებაშიც. „ამ პოეტებმა კარგად გაიაზრეს, რომ პალამასის, დროსინისის, სიკელიანოსის, ვარნალისის და მათი თანამოაზრეების დიმორტიკიზმი ჩიხში ექცეოდა, რადგან ამ ენას არ ჰქონდა ორგა-

ნული კავშირი რეალურ გარემოსთან.⁹ მანამდე ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მალაკასისი, პორფირასი, ვარნალისი)¹⁰, ყველა პოეტის შემოქმედებაში ერთმანეთისაგან დაშორებული იყო ის სივრცე, რომელშიც ეს პოეტები ცხოვრობდნენ და ლექსში გადმოცემული სივრცე. მართალია, არ არის აუცილებელი რომ ყველა პოეტმა ის გარემო აღწეროს, რომელშიც ცხოვრობს, მაგრამ ამჯერად პოეტთა მხრიდან მათ თანამედროვეობასთან ცნობიერ ურთიერთობას ვგულისხმობთ. ოციან წლებამდე პოეზიაში იგრძნობა ერთგვარი გაორება, თითქოს ეს პოეტები საერთოდ არ ცნობდნენ მათ გარშემო არსებულ რეალობას. ეს ალბათ ობიექტური და სუბიექტური მიზეზებთაგან იყო გამოწვეული. ობიექტური მიზეზებიდან იმის დასახელება შეგვიძლია, რომ ჯერ საბერძეთში არ იყო ქალაქური ცხოვრება იმ დონეზე აყვანილი, რომ პოეტებს მისი აღწერის, მის შესახებ საუბრის სურვილი გასჩენოდათ და სუბიექტურია ის, რომ ეს პოეტები ჯერ კიდევ იდეოლოგიურ პოეზიას ემსახურებოდნენ, რომლის მიზანიც იყო, ბერძნების ეროვნული თვითშეგნება გაეღრმავებინა, მკითხველი ბერძნულ ფესვებთან უფრო დაეახლოვებინა, რაც ამ პოეტების აზრით სოფლებში უკეთ იყო შენარჩუნებული ვიდრე ქალაქში (როდესაც საბერძნეთის ქალაქურ ცხოვრებაზე ვსაუბრობთ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ იმ სტერეოტიპს, რომელსაც ევროპული გაგებით ქალაქი ეწოდებოდა იმ პერიოდში მხოლოდ ათენი თუ შეესატყვისებოდა და შესაბამისად ქალაქური ცხოვრე-

⁹ Αράγης 2006, 394.

¹⁰ Αράγης 2006, 167.

ბაც ათენური ცხოვრების იდენტურია ამ შემთხვევაში), რომელიც მისი კოსმოპოლიტური ხასიათით და საერთო ევროპული ტენდენციებით მათ წარმოსახვაში ყოველივე ეროვნულს უპირისპირდებოდა.

ოციანი წლების საბერძნეთში განვითარების თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ათენი და პროვინციები. ამ პერიოდის ბერძნული სოფელი მიღწევებით და ცხოვრების სტილით შუასაუკუნეებთან უფრო ახლოს იდგა ვიდრე მეოცე საუკუნესთან. განსხვავებული მდგომარეობაა ათენთან დაკავშირებით, იგი მართალია, ჯერ არ იყო ბოლომდე დასავლური ყაიდის ქალაქი, მაგრამ მაინც მეოცე საუკუნის მსოფლიო ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილი იყო. შესაბამისად წინა თაობის პოეტებისაგან განსხვავებით, რომელთა ყურადღებაც სოფლის გარემოს დროისაკენ იყო მიპყრობილი, ოციანი წლების პოეტების მთავარ თემად ქალაქის, ანუ ათენის შემოტანამ პოეზია იმ დროში დააბრუნა, რომელშიც პოეტები რეალურად ცხოვრობდნენ.¹¹

საინტერესოა, რამ გამოიწვია ასეთი შემობრუნება. ნეორომანტიკოს-ნეოსიმბოლისტ პოეტთაგან ლაპათიოტისის გარდა არც ერთი არ დაბადებულა და გაზრდილა დედაქალაქში, ყველა ცხოვრების უფრო გვიან ეტაპზე ეზიარა ათენური ცხოვრების სტილს და მაინც მათი პოეზიის სივრცედ ეს ქალაქი იქცა. აქ ერთი საინტერესო დეტალი უნდა გავიხსენოთ, პოეტი დროსინისი ათენელი იყო, იქ დაბადებული და გაზრდილი და მაინც, მისი შემოქმედება გვერდს

¹¹ Αράγης 2006, 399.

უვლიდა ათენურ თემებს და მხოლოდ ფოლკლორული სივრცით ინტერესდებოდა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოციან წლებში ათენით დაინტერესება მხოლოდ ათენის დიდ ქალაქად გადაქცევით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ოციანი წლების პოეტთა სურვილს გამოხატავდა, რომ ბერძნულ პოეზიაში ბოლო მოეღოთ დროსა და სივრცეში გაორებისათვის და პოეტური სიტყვა იმ რეალობის ამსახველად და შესაბამისად ექციათ, რომელშიც ცხოვრობდნენ. ეს ტენდენცია იმთავითვე სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ბერძნული პოეზიისათვის, რადგან მას საზოგადოებისაგან იზოლაციის საფრთხე ემუქრებოდა. მისი ენა, მიუხედავად კათარევუსას უარყოფისა, ლექსიკურ დონეზე მაინც შორდებოდა ყოველდღიურობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამორბედთა მიერ ოციანი წლების პოეტთათვის წაყენებული ერთ-ერთი მთავარი ბრალდება სწორედ ენას ეხებოდა, უფროსებს მიაჩნდათ, რომ ახალგზრდები მას გულგრილად ეკიდებოდნენ.

სტილისტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ცვლილების აღნიშვნა, რაც ლექსის გრამატიკულ პირებთან მიმართებას შეეხება. წინა თაობის პოეტები, რომლებსაც საგნებისადმი გნოსტიკური დამოკიდებულება ჰქონდათ, გამუდმებით მრავლობით რიცხვში საუბრობდნენ და ზოგად მატერიებზე მსჯელობდნენ, ოციან წლებში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეზიის თემებისადმი გნოსტიკური დამოკიდებულება ემპირიული გამოცდილების საფუძველზე მიღებული გრძნობების გადმოცემამ ჩაანაცვლა, რაც პოეტის გრამატიკული პირის მხოლოდობით „მე“-

დ ქცევაში გამოიხატა.¹² ამგვარი ცვლილება, ჩვენი აზრით, საკმაოდ გაბედული განაცხადი იყო ბერძნულ პოეზიაში, რადგან პოეტს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

ბიბლიოგრაფია:

Αράγης, Γιώργος. 2006. «Η μεταβατική περίοδος της ελληνικής ποίησης», *Η σταδιακή της εξέλιξη από την ίδρυση του νεοελληνικού κράτους έως το 1930*, Αθήνα: Σοκόλη.

Beaton, Roderick. 1996, *Εισαγωγή στη Νεότερη Ελληνική Λογοτεχνία*, Αθήνα: Νεφέλη.

გამრეკელი თეა და ქეთევან ციცნაძე, 2005. „ბერძნული რომანტიზმი“ კრებულში *ნარკევეები ახალბერძნულ ლიტერატურაში*. თბილისი: ლოგოსი.

Гумилёв, Николай. “Анатомия стихотворения”, *Дракон. Альманах стихов, Петербург 1921*, წვდომის თარიღი: 11 აპრილი, 2018; <https://gumilev.ru/clauses/4/>

Δημαράς, Κωνσταντίνος Θ. 1993. *Νεοελληνικός Διαφωτισμός*, Αθήνα: Ερμής.

Δημαράς, Κωνσταντίνος Θ. 1994. *Νεοελληνικός Ρομαντισμός*, Αθήνα: Ερμής.

Δημαράς, Κωνσταντίνος Θ. 1975. *Ιστορία της Νεοελληνικής Λογοτεχνίας*, Αθήνα: Ικαρος.

Vitti, Mario. 1994. *Ιστορία της Νεοελληνικής Λογοτεχνίας*, Αθήνα: Οδυσσέας.

Καραντώνης, Αντρέας. 1990. *Εισαγωγή στη νεότερη ποίηση – Γύρω από τη σύγχρονη ελληνική ποίηση*, Αθήνα: Παπαδήμας Δημ. Ν.

¹² Αράγης 2006, 395.

Φιλιάς Β., 1977, «Ελληνική κοινωνία», Ιστορία του Ελληνικού Έθνους, τόμος ΙΓ, Αθήνα.

ქამუშაძე, მაკა. 2005, „კოსტის პალამასი და 80-იანელთა თაობა,“ კრებულში: *ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში*, თბილისი: ლოგოსი.

შათირიშვილი, ზაზა. 2007. „პოეტი და პოეზიის იდეა ევროპულ კულტურაში“, *ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა - სერია ევროპული ძიებანი*, წვდომის თარიღი: 11 აპრილი, 2018;

<http://www.ctc.org.ge/sites/default/files/publications/history-of-european-ideas.pdf>

Σβορώνος Νίκος. 2004. *Το Ελληνικό έθνος: Γένεση και διαμόρφωση του Νέου Ελληνισμού*, Αθήνα: Πόλις.

Ketevan Tsintsadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Innovative Trends in the Greek Poetry of 1920s

Key Words: Modern Greek Poetry, Innovations, Neoromanticism, Neosymbolism

Greek poets of 1920s put an end to the long-term process of the organic implementation of european trends in Greek poetry. But its not the only contribution of them to the Greek literature, Neoromanticist-Neosymbolist poets also acted as reformators of Greek poem by adding for the further development vitally important innovations to it. They were innovative in several directions; In the works of the poets of 1920s phonetics, stylistics, composition and ideology have undergone significant changes.

In terms of phonetical changes inspired by the French Symbolist poets Greek Neoromanticist-Neosymbolist poets recognized musicality of poetry and paid special attention to the melody. As for the composition, innovation was bringing of lyrical verse. Neoromanticist-Neosymbolist poets rejected the elements of narrative poetry and began to compose short, emotionally inspired verses with no longer uninterrupted narrative line. At the same time they broke the traditional understanding of the strophe and gave a great extent to imagination.

In 1920s significant changes were obtained in the ideology and stylistic of the moderns Greek poem.

The Greek poets of the 1920s finally released the Greek poetry from the unrealistic Dream of „Megali Idea“, set an end to the illusions and gave new directions to its's ideology.

In terms of stylistic poets of 1920s changed the linguistic and grammatical orientation of poetry. They refused dimoticism and replaced it with modern urban vocabulary enriched with lots of foreign terms. They also changed grammatical persons in poem. If the previous generation of poets, who had Gnostic relations to different things, always used plural for speaking about common matters, the poets of 1920s find topics of inspiration in their empirical experience, which resulted in changing of grammatical person to singular „I“.